დანართი №1

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (30 00)

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1.1 **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი**[1] - სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა

განმახორციელებელი - შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) (4/3)	საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთა (%) (5/4)	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%
1	2	3	4	5	6	7	8	9
30 06	**სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა**	**75,301.0**	**88,476.4**	**88,436.5**	**117.50%**	**99.95%**		
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	74,873.0	86,390.5	86,383.6	115.38%	99.99%		
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება *(საქ. მთ. სარეზერვო ფონდი)*		1,252.3	1,251.6	#DIV/0!	99.94%		
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება *(ფულადი გრანტი)*		406.4	78.9	#DIV/0!	93.23%		
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	428.0	422.7	417.9	98.76%	98.86%		
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა *(საქ. მთ. სარეზერვო ფონდი)*		4.5	4.5	#DIV/0!	100.00%		

[1] ივსება იმდენ პროგრამაზე, რამდენ პროგრამასაც მოიცავს მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტი წლიური ბიუჯეტის კანონით.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

1. **ღონისძიების დასახელება:** ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება:

✓ საანგარიშო პერიოდში 59 801 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

✓ ბუნებრივი ხასიათი საგანგებო სიტუაციების დროს სამსახურის მოსამსახურეები ჩართულნი იყვნენ გრემოსდაცვით ღონისძიებებში, გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის და გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტებთან ერთად;

✓ სამსახურის მოსამსახურეები მონაწილეობდნენ შშმ პირების პრობლემატიკასთან დაკავშირებულ აქტივობებში, კერძოდ: შშმ პირების საზოგადოებასთან ინტეგრაციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში; ასევე, შშმ პირთა საჭიროებებისა და უფლებების შესახებ მომზადდა კვლევა, რომელიც ასევე მოიცავდა საერთაშორისო კვლევის ნაწილს, ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის მაგალითზე, საგანგებო სიტუაციების დროს შშმ პირთა ევაკუაციის წესებთან დაკავშირებით;

✓ საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუკეთდა ორგანიზაციების სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილ პირთა საკონსულტაციო შეხვედრებს საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე. მომზადდა სანიმუშო მასალები საგანგებო მართვის გეგმების მომზადების თაობაზე და გადაეცათ მათ ელექტრონული სახით. (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, გარდაბნის თბოელექტროსადგურს, სსიპ კოლეჯ "მერმისს");

✓ საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ მომზადდა შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №88 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის სარგებლობაში არსებული სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №86 ბრძანება;
- „ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №85 ბრძანება;
- „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილება.

✓ სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მთავარი სამმართველოს უფროსი და უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი და უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი და უფროსის მოადგილე) დანიშნული მოსამსახურეების მზადყოფნის ამაღლების, უნარ-ჩვევების განვითარებისა და შესაბამისი შეფასების მიზნით, ჩატარდა მართვის ოპერაციული დონის სამეთაურო კურსები. აღნიშნულ კურსში გაწერილი პროგრამის მიხედვით სწავლება ჩაატარეს სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტიდან ადმინისტრირების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ოთარ კუხალეიშვილმა და ცენტრალური კოორდინაციის მთავარმა ინსპექტორმა (ფსიქოლოგი) მარიამ გვილავამ;

✓ სამსახურის ფსიქოლოგის მიერ აჭარისისა და იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მეხანძრე-მაშველებს ჩაუტარდა ფსიქოთერაპიის სესიები როგორც, პირისპირ ასევე დისტანციურად, რომლის მიზანს წარმოადგენდა მეხანძრე-მაშველების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასება, ფსიქოგანათლება და ტრამვებზე ფოკუსირებული ფსიქოთერაპია. ფსიქოთერაპიული სესიის მიზანი იყო თერაპიაში მონაწილე მეხანძრე-მაშველების მეხსიერებაში დარჩენილი ტრამვული ეპიზოდების გადამუშავება;

✓ სამსახურის მოსამსახურეების მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის სტრუქტურული დანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება, გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურად დაგეგმვისა და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში შემდგომში მათი აღმოფხვრის მიზნით;

✓ სამსახურის მეხანძრე-მაშველთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეების მიერ პერიოდულად ტარდება მეხანძრე-მაშველთა სასწავლო-თეორიული ტრენინგი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მსმენელები გაეცნონ სხვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების წესებს, გაითავისონ და გამოიმუშაონ საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ქცევის და მოქმედების უნარ-ჩვევები;

✓ ხულოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის მოხალისის ინსტიტუტის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეების მიერ განხორციელდა სამუშაო შეხვედრები;

✓ ზაფხულის საკურორტო სეზონის განმავლობაში ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სამსახურის მიერ შემუშავდა საკურორტო ზონებზე სამსახურის დანაყოფების სამოქმედო გეგმები;

✓ სამსახურის მოსამსახურეების მიერ განხორციელდა შსს სსიპ-„112“-ის ოპერატორებისა და დისპეტჩერების გადამზადება შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ში “ დანერგილი ახალი პროგრამის „ProQa“ მოხმარებასა და პროტოკოლებში. პროგრამის შესწავლის მიზანს წარმოადგენდა სპეციალური სახანძრო-სამაშველო, საპოლიციო და სამედიცინო პროტოკოლების გამოყენებით ინციდენტის პრიორიტეტის მაღალი სიზუსტით დადგენა და შესაბამისი სატელეფონო ინსტრუქციების გაცემა;

✓ ტყის ხანძრების ქრობისთვის საჭირო ქცევის წესებისა და მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეებმა ტრენინგი ჩაუტარეს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებს;

✓ სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სპეციალიზირებულ სწავლებებში, კერძოდ: ონლაინ ტრენინგის კურსი უსადენო ინფორმაციული სისტემის შესახებ; საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პირთათვის (WISER) და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სახელმძღვანელოს (ERG) აღმოსავლეთ ევროპის ქბრბ პირველი მორეაგირეთათვის; აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების (DTRA) სააგენტოს მიერ ქბრბ მიმართულებით ორგანიზებული ტრენერთა ტრენინგი; საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის მრავალუწყებრივ სწავლება (JMOC TTX); აშშ თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (US ODC) მიერ ორგანიზებული წყალზე სამაშველო პრაქტიკული სწავლება; სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ICDO-ს მიერ ყირგიზეთის რესპუბლიკაში გამართული სამთო-სამაშველო და მყვინთავთა სწავლება; აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით ქ. ბათუმში გაიმართა საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებისა და სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის უწყებათაშორისი სამაგიდო სწავლება (JMOC TTX 2021; ჩრდილოეთ მაკედონიაში ნატო-ს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის (EADRCC) ეგიდით გაიმართება სწავლება „ჩრდილოეთ მაკედონია 2021“; NATO SNGP ფორმატის ფარგლებში გაიმართა, დანიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელობით თეორიული და პრაქტიკული სწავლება რომელიც შეეხებოდა საგანგებო სიტუაციების დროს სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის განვითარებას;

✓ კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში (პანკისის ხეობა), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ-საქართველოს ოპერატიული სააგენტოს კომუნიკაციების სამმართველოს სპეციალისტებთან ერთად, რადიოკავშირის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით "TETRA"-ს საბაზო საიტზე განხორციელდა ტექნიკური სამუშაოები;

✓ სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მართვისა და კონტროლის მხარდაჭერის მიზნით, სამსახურის სტრუქტურულ და ტერიტორიულ ქვედანაყოფებში მოეწყო საკომუნიკაციო ქსელის დამატებითი ხაზები, ასევე მათ გადაეცათ და დაუმონტაჟდათ IP ტელეფონის აპარატები ნომრების მინიჭებით;

✓ ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, სამსახურის წყალზე სამაშველო დანაყოფში (მის. ქ. თბილისი, ქ. თბილისის ზღვის ცენტრალური პლაჟის მიმდებარე ტერიტორია), შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკომუნიკაციო ქსელის ჩართვისა და მოწყობის მიზნით დამონტაჟდა 4 (ოთხი) ცალი რადიო-სარელეო ანტენა: შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (გორგასლის ქ. 81ა, B კორუსი) – 1 (ერთი) ცალი; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რადიო-სარეტრანსლაციო ანძაზე (მახათის მთა) – 2

(ორი) ცალი; წყალზე სამაშველო დანაყოფი (ქ. თბილისის ზღვის ცენტრალური პლაჟის მიმდებარე ტერიტორია) – 1 (ერთი) ცალი;

✓ საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა საკუთარი ძალებით განახორციელა დმანისის სახანძრო-სამაშველო დანაყოფში (მის. ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა №61) საკომუნიკაციო ქსელის აღდგენითი სამუშაოები;

✓ ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე ინფორმაციის დროული მიღებისა და შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მარტვილისა და ჩხოროწყუს განყოფილებების ახლად აშენებულ შენობებში ჩაირთო შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკომუნიკაციო ქსელი, მოეწყო voip სატელეფონო და კომპიუტერული ქსელი, დამონტაჟდა TETRA სისტემის ციფრულ რადიოქსელში ჩართული MTM5400 საბაზო-სამაგიდო რადიოსადგური და Panasonic LC-R127R2PG აკუმულატორი;

✓ სამსახურის ქოლცენტრის (ცენტრი 1) ახლად აშენებულ შენობაში შეყვანილ იქნა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, ჩაირთო შსს საკომუნიკაციო ქსელი და ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, მოეწყო voip სატელეფონო და კომპიუტერული ქსელი, დამონტაჟდა TETRA სისტემის ციფრულ რადიოქსელში ჩართული MTM5400 საბაზო-სამაგიდო რადიოსადგურები; აგრეთვე დამონტაჟდა ვიდეო კედელი და შეზღუდული დაშვების სისტემა;

✓ კვალიფიკაციის ასამაღლებლად სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის მუნიციპალიტეტში, წყალზე სამაშველო ოპერაციების ჩატარების მიმართულებით ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (US ODC) მიერ ორგანიზებულ სწავლებაში, კავშირგაბმულობისა და საშტაბო მანქანის მოწყობის მიზნით;

✓ ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე მდგომარეობის შეფასებისა და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად, სამსახურის სტრატეგიული დაგეგმვისა და ტექნოლოგიური განვითარების დეპარტამენტის მოსამსახურეების მიერ სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მეხანძრე-მაშველებს (დრონის პილოტები) დრონის მოხმარებისა და ტესტირების საკითხებზე ჩაუტარდათ სწავლება;

✓ სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს კახეთის რეგიონის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი პალდოს მიმდებარედ, ტყის ხანძრების ქრობის კუთხით ჩატარებულ სწავლებაში „სამოქალაქო უსაფრთხოება 2021“;

✓ ქ. თელავში ორგანიზება გაუკეთდა მუნიციპალიტეტის სამსახურების უფროსების მომზადების პირველ ხუთდღიან ციკლს მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების საკითხებზე. სწავლება განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) ფინანსური მხარდაჭერით, კლიმატის რისკის ინტეგრირებული მართვის (CRM) პროექტის ფარგლებში. აღნიშნული სწავლების მიზანს წარმოადგენდა 11 მუნიციპალიტეტში საგანგებო მართვის გეგმების შემუშავება, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მომზადება და გეგმის ტესტირების მიზნით მათთვის პრაქტიკული წვრთნის ჩატარება;

✓ სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის (CMEP) ფარგლებში დაგეგმილ სემინარში ,,საქართველოს ეროვნული სწავლების სახელმძღვანელოს'' შემუშავებაში მონაწილეობა.

✓ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის საგანგებო სიტუაციაში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) დანერგვისთვის ქვეყნის მზადყოფნის შეფასების კვლევაში და კითხვარის შევსებაში. ესწრებოდნენ კვლევის ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების პრეზენტაციას.

✓ ორგანიზება გაუკეთდა ჩეხური კომპანია "DEKONTA"-ს პროექტის ,,საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისა და მართვის მიმართულებით საქართველოს მიდგომების გაძლიერება" ფარგლებში, ონლაინ მეცადინეობის ჩატარებას. მეცადინეობის მიზანი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაძლებლობების გაზრდა გარე საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებასა და მომზადებაში იმ მუნიციპალიტეტებისათვის, სადაც განლაგებულია მასშტაბური ავარიების პრევენციების შესახებ EU SEVESO-III დირექტივის შესაბამისად კატეგორირებული საწარმოები.

✓ მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. გორში არასამთავრობო ორგანიზაცია „ლურჯი ფარის“ მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრაზე განხილულ იქნა ს.მაკალათისა სახ. ეთნოგრაფიული მუზეუმის საგანგებო მართვის გეგმის შემუშავების საკითხები. აღნიშნული გეგმა იქნება საპილოტე დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც საგანგებო მართვის გეგმებს მოამზადებენ საქართველოს მასშტაბით სხვა მუზეუმებიც.

✓ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს „სამაშველო ძალების ქსელის ანალიზი და განვითარება საქართველოს კრიზისების მართვის ჩარჩოში“ ფარგლებში

რიგით მეორე ვიდეო კონფერენციაში, საფრანგეთის საელჩოს ეგიდით ფრანგი ინსტრუქტორების მიერ დაგეგმილ ტყის ხანძრებთან ბრძოლის სწავლებაზე და პოლონეთის მალოპოლსკას რეგიონის საპოლიციო და სახანძრო სამაშველო ძალების წარმომადგენლების ჩართულობით დაგეგმილ „ტრენინგები საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისა, საქართველოს საპატრულო პოლიციის და კრიზისების მართვის სამსახურების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის“ სასწავლო ტრენინგში;

✓ სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამის - PPRD East 3 ექსპერტთა სამუშაო შეხვედრაში;

✓ გერმანიის ბუნდესვერის ბიოლოგიური ინსტიტუტის მიერ გაიმართა თეორიული სწავლება ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცულობის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქბრბ სამმართველოს ორმა თანამშრომელმა;

✓ აშშ-ს DTRA-ს ორგანიზებით გაიმართა ქბრბ კოლექტიური უნარების განვითარების სწავლება რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების ათმა თანამშრომელმა;

✓ საანგარიშო პერიოდში სამსახურის ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების სამმართველოს უფროსმა მონაწილეობა მიიღო იტალიაში, კერძოდ ქ.რომში NATO-ს მიერ ორგანიზებულ პროექტ ,,REACT''-ის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში , რომელიც მიზნად ისახავდა ჰაერის მონიტორინგს და "განგაშის სისტემის" შექმნას ტერორისტული ან სხვა თავდასხმის შემთხვევაში და ქიმიური აგენტებით დაბინძურების გამოვლენისას რეაგირების პროტოკოლების განსაზღვრას;

✓ სამსახურის წარმომადგენლების მიერ საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მათ შორის საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების ღონისძიებების დროული დაგეგმვისა და ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში მათივე მხარდაჭერით ჩატარდა შემდეგი სწავლებები:

ა) საგანგებო მართვის გეგმის შემუშავება;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციაში ქცევის წესების, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების სწავლება;

გ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით შესაბამისი პროექტების ორგანიზება.

✓ სახანძრო-სამაშველო მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებისთვის, სახანძრო-სამაშველო ძლების დეპარტამენტის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზის ტერიტორიაზე მოეწყო სახანძრო-სამაშველო სამსახურის შესახებ პრეზენტაცია, სახანძრო ავტო ცისტერნის დახმარებით და განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან სამთო კედელზე გარკვეული სავარჯიშოების შესრულების დემონსტრირებით.

✓ სამსახურის მოსამსახურეებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სწავლებებზე, ვარჯიშებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებზე:

- BSEC - ის ,,საგანგებო დახმარების ჯგუფის'' მუშაობაში მონაწილეობა.
- BSEC - ის ,,სეისმური რისკების ექსპერთა ჯგუფის'' მუშაობაში მონაწილეობა.
- საველე-საშტაბო ვარჯიშში - ,,სამოქალაქო უსაფრთხოება 2021'' დაგეგმვის პროცესსა და ვარჯიშში მონაწილეობა.
- მონაწილეობა იქნა მიღებული შსს აკადემიაში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, გაეროს ექსპერტის მიერ ჩატარებულ სპეციალური სწავლებაში - „ტრენერთა ტრენინგი“, ადგილობრივი საგანგებო მართვის გეგმის შედგენისა და მის საფუძველზე სიმულაციური ვარჯიშის ორგანიზების მეთოდოლოგიის საკითხებზე.
- ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის კოორდინაციით, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში, კრიზისული ვითარების მართვის, რისკების ანალიზისა და შეფასების, ასევე, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის თემაზე სემინარი;
- ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის ფარგლებში გამართული „ტექნიკური ექსპერტის კურსი“;

- მონაწილეობა იქნა მიღებული არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის და ამერიკის სატყეო სამსახურის (USFS) ორგანიზებით ჩატარებულ ახალი ინიციატივის პრეზენტაციაზე - სააუზო მართვა, ტყის მენეჯმენტი და სტიქიის რისკების შემცირება საქართველოში. ინიციატივის მიზანია საერთაშორისო დონეზე აპრობირებული სააუზო მართვის პრაქტიკული მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა ტყის მართვის პროცესში, რამაც უნდა უზრუნველყოს ტყის მრავალფუნქციური გამოყენება - გარემოსდაცვითი რისკების მინიმიზაციით.
- ,,საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისა და მართვის მიმართულებით საქმიანობის მიდგომების გაძლიერება'' ფარგლებში ჩეხური კომპანია DEKONTAS -ს პროექტის ტრენინგში მონაწილეობა.
- მონაწილეობა იქნა მიღებული თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ ორგანიზებულ უსაფრთხოების სექტორის საორიენტაციო პროგრამაში „უსაფრთხოების სექტორის საორიენტაციო კურსი"-ში მონაწილეობა.
- მონაწილეობა იქნა მიღებული არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის ორგანიზებულ საჯარო სემინარ/დისკუსიაზე „ველისა და ტყის ხანძრები - კანონმდებლობა და კონტროლი" შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო არსებული გამოწვევების აღმოფხვრის სამართლებრივი და ინსტიტუციური შესაძლებლობების კვლევის შედეგები.
- მონაწილეობა იქნა მიღებული დანიის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს წარმომადგენელის ბატონ ჯეიკობ ჯეპერსენის მიერ ორგანიზებულ სემინარის მუშაობაში, თემაზე: „კრიზისების მართვა, ეროვნული რისკის პროფილი და კრიტიკული ინფრასტრუქტურა", რომელიც გაიმართა საქართველოს კრიზისების მათრთვის საბჭოში.
- მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით გამართული უწყებათაშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში „დიდგორი 2021''.
- მონაწილეობა იქნა მიღებული ჩრდილოეთ მაკედონიაში, ნატო-ს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის (EADRCC) ეგიდით გამართული შედეგების მართვის სწავლებაში (ჩრდილოეთ მაკედონია 2021).
- ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის (NATO PDP) მხარდაჭერით გამართული „სახელმწიფოს სასიცოცხლო სერვისების მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფის "კურსი.
- მონაწილეობა იქნა მიღებული შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და თავდაცვის ეროვნული გვარდიის ერთობლივ საველე-საშტაბო ვარჯიშში თემაზე: ,,სამოქალაქო უსაფრთხოება - 2021'' ;
- მონაწილეობა იქნა მიღებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე პროგრამის „კლიმატით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება" ფარგლებში მრავალმხრივი საფრთხეების რუკების (წყალდიდობა, ზვავი, გვალვა, სეტყვა, ძლიერი ქარი, მეწყერი და ღვარცოფი) მოდელირებისა და რუკების შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავების საკითხებზე სწავლებაში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარებული უწყებათაშორისი სამეთაურო - საშტაბო სწავლება "დიდგორი 2021"-ის დაგეგმვისა და ჩატარებაში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს და ნორვეგიის კარტოგრაფიის ორგანოს მიერ ორგანიზებული პროექტის „რუკები საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის ონლაინ სამუშაო შეხვედრაში.
- დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია „GUAM"-ის საგანგებო სიტუაციების სამუშაო ჯგუფის ონლაინ სხდომის მუშაობაში.

ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების გამომწვევ ფაქტორების პრევენციის მიზნით, სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ საანგარიშო პერიოდში სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა 1 208 ობიექტს, კერძოდ:
  - დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 803 ობიექტს;
  - მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 400 ობიექტს;
  - საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 5 ობიექტს;

- ✓ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 1 995 კორესპონდენცია, კერძოდ:
  - ➢ მიწის ნაკვეთზე შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ (პირველი სტადიის) შემოსული დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა 539 რეკომენდაცია;
  - ➢ შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე (მეორე სტადია) შემოსული დაპროექტების დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა 1009 რეკომენდაცია, მათ შორის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა 241 დაპროექტების დოკუმენტზე;
  - ➢ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული იქნა მონაწილეობა ობიექტებზე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების გამოცდაში, სისტემების გამოცდის შედეგებზე მომზადდა 2 წერილი;
  - ➢ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების თაობაზე მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისგან შემოსულ წერილებზე მომზადებული იქნა 132 საპასუხო წერილი;
  - ➢ სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოდან შემოსულ დაპროექტების დოკუმენტაციაზე მომზადდა 313 სამსახურებრივი ბარათი შენიშვნა-წინადადებით, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა 157 დაპროექტების დოკუმენტზე;

- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა **187** ობიექტზე;

- ✓ სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა (შეუსაბამობა) დაუდგინდა 230 ობიექტს;

- ✓ შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების ზომების მომზადების მიზნით განხორციელდა 33 ობიექტზე;

- ✓ სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით მოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით მიმდინარეობდა შეხვედრების ორგანიზება და კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის/ორგანიზაციებისათვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 679 ზარი. ასევე, გაიმართა 270 საკონსულტაციო შეხვედრა;

საერთაშორისო საძიებო სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- ✓ ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფისათვის გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის, INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა USAR კოორდინატორების თეორიული სწავლება ონლაინ რეჟიმში. აღნიშნულ სწავლებას ესწრებოდა სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის 5 წარმომადგენელი;
- ✓ საანგარიშო პერიოდში INSARAG მენტორის მიერ განხორციელდა თეორიული სწავლება ქართული USAR ჯგუფისთვის თემაზე "INSARAG-ის ზოგადი პრინციპები". სწავლებას ესწრებოდა სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის 35 წარმომადგენელი;
- ✓ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა "პირველი მორეაგირის" სწავლება ონლაინ რეჟიმში. სწავლებას ესწრებოდა სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის 35 წარმომადგენელი;

- ✓ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფისათვის, ევროკავშირის პროექტ - "SAFE" ფარგლებში, 124 693.28 აშშ დოლარის ღირებულების საძიებო-სამაშველო აღჭურვილობის გრანტის სახით გადაცემის მიზნით. აღნიშნული პროექტის დასრულება დაგეგმილია 2021 წლის ნოემბრის თვეში.

2. **ღონისძიების დასახელება:** საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ტექნოლოგიების განვითარება:

- სამსახურის პროგრამისტების მიერ შემუშავებულ სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემის (eFris) პლატფორმაზე საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ადამიანური რესურსების მართვის მოდულის ფუნქციონალის განვითარებისა და პილოტირების სამუშაოები, კერძოდ: (1) საკადრო ბრძანებების მოდულში ინტეგრაციის ფუნქციონალის შემუშავება და (2) ადამიანური რესურსების მართვის მოდულთან ინტეგრირებული ტრენინგების აღრიცხვის მოდულის შემუშავება;

  საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები საგანგებო სიტუაციების/ ინციდენტების აღრიცხვის მოდულის ფუნქციონალის განვითარებისა და სტატისტიკის მოდულის შემუშავების მიმართულებით;

  აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში შემუშავებულია სახანძრო-სამაშველო ტერიტორიული დანაყოფების რეაგირების ძალების რიცხოვნებისა და ტექნიკური აღჭურვილობის განსაზღვრის მოდულის სატესტო ვერსია.

  სისტემა მზადაა სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებისათვის.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტერაქტიულ რუკის (maps.es.gov.ge) ფუნქციონალის დახვეწა/განვითარების სამუშაოები. რუკაზე განახლდა მონაცემები, დაემატა სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გარშემო არეალის მონიშვნის ფუნქციონალი და სხვადასხვა ტიპის შრეები, ასევე შემუშავდა ჰიდრანტების მენეჯმენტის ფუნქციონალი და საძიებო-სამაშველო ღონისძიებების მართვა/მონიტორინგის ინსტრუმენტი.
  საანგარიშო პერიოდში აგრეთვე შემუშავებულია:
  - ➢ მასშტაბური საგანგებო სიტუაციების ხარჯთაღრიცხვის პროგრამა;
  - ➢ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შიდა მოხმარების ზოგადი საინფორმაციო პორტალი, რომელიც თავის თავში აერთიანებს სამსახურის თანამშრომლებისათვის საჭირო სხვადასხვა ელექტრონულ სერვისს, მათ შორის სატელეფონო ცნობარსა (pb.es.gov.ge) და ტექნიკური დახმარების ვებგვერდს (support.es.gov.ge);
  - ➢ GIS ტექნოლოგიების მეშვეობით ციფრული რუკები;
  - ➢ სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ შემუშავებული საინფორმაციო ბიულეტენის "საქართველოში 2020 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2021 წლისთვის" საფუძველზე ინტერაქტიულ რუკაზე დაემატა ბუნებრივი საფრთხეების შრე;
  - ➢ რუკას ასევე დაემატა სახანძრო-სამაშველო ტექნიკის სტატუსების შეცვლა/მონიტორინგის ფუნქციონალი.

- სამსახურის პროგრამისტების მიერ შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss), რომელსაც საანგარიშო პერიოდში დაემატა შემდეგი ფუნქციონალი: (1) ფორმირებულ წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა, (2) განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა; (3) მიწერილობის ფორმებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა; (4) მიწერილობებისა და განკარგულების ფილტრაციის შესაძლებლობა; (5)

განკარგულების ფორმაში 2021 წლის გეგმიდან მონაცემების დამატება; (6) შესაბამისობის აქტის ფორმის ცვლილების შესაძლებლობა; (7) ვიზირებების მოდულის მოდიფიკაცია; (8) განკარგულებებში და მიწერილობებში ვიზირების პროგრესის ჩვენება; (9) დასავიზებელი მიწერილობის ვადა გადაცილების ჩვენება; (10) დასრულებული მიწერილობის ავტორთან შეტყობინების გაგზავნა; (11) დრაფტში არსებული მიწერილობების წაშლა ვიზირებების გავლით; (12) განკარგულებაში არსებული ობიექტების სტატუსების მინიჭება; (13) დასრულებულ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის დამატება; (14) რეპორტების ფორმის შემუშავება, (15) ობიექტების შემოწმების წლიური გეგმის გენერაცია განახლება, (16) ობიექტების გადამოწმება და სტატუსების მინიჭება და (17) საკონტროლო შემოწმების ფორმის ცვლილება. პარალელურად მიმდინარეობს სამუშაო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების შესწორება;

3. **ღონისძიების დასახელება:** მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა:

- სახანძრო ღონისძიებებზე რეაგირების გაუმჯობესებისა და მეხანძრე-მაშველთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შეძენილ იქნა მეხანძრის საბრძოლო ფორმა;
- საანგარიშო პერიოდში, ასევე, შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველის ყოველდღიური და ზამთრის ფორმები, ოპერატორი ქალის ფორები, სახანძრო-საზედამხედველო ფუნქციის განმახორციელებელი დეპარტამენტის მოსამსახურეთა ფორმები და მეხანძრე-მაშველის ფორმის ფეხსაცმელი (სააგენტოს საკუთარი სახსრებით);
- ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საზღვაო მაშველების უნიფორმისა და სპეციალიზირებული ფეხსაცმლის შესყიდვა. ასევე, წყალზე სამაშველო აღჭურვილობის იმ ნაწილის შეძენა, რომელიც აუცილებელი იყო საზღვაო სეზონის გასახსნელად;
- საანგარიშო პერიოდში, შეძენილ იქნა 48 600 ლიტრი სახანძრო ქაფი;
- სამთო-სამაშველო ფორმა და აღჭურვილობა;
- საანგარიშო პერიოდში მეხანძრე-მაშველთათვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის აღჭურვილობა, კერძოდ: მაღალი წნევის მყვინთავის ბალონები, კომპრესორის სათადარიგო ნაწილები, ქაფშემრევი, ტვირთამწე მოწყობილობა (ელექტრო ტალი), სამედიცინო საკაცე, სამაშველო თოკები და საფრენი აპარატის (დრონი) ელემენტები;
- ახლადაშენებული ოპერატიული მართვის ცენტრისთვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა;
- საზედამხედველო ფუნქციის განმახორციელებელი დანაყოფებისათვის შეძენილ იქნა სამხრე კამერები;

4. **ღონისძიების დასახელება:** სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის განახლება/მოდერნიზაცია:

- სამსახურის სახანძრო-სამაშველო ავტოპარკის განახლების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების პროექტის ფარგლებში მეორადი სახანძრო მანქანის შესასყიდად სამსახურმა მიიღო 77 633 აშშ დოლარის ოდენობის ფულადი გრანტი;

- ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საზღვაო "კატარღა 011"-ისათვის შეძენილ იქნა ჩამოსაკიდი ძრავი;

- ზამთრის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეძენილ იქნა კვადროციკლის მისაბმელი და ციგა;

5. **ღონისძიების დასახელება:** სახანძრო-სამაშველო ობიექტების ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაცია:

- 2018 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდა ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა;
- სახანძრო-სამაშველო ავტოპარკის განსათავსებლად დაბა ბაკურიანში აშენდა ავტოფარეხი;
- განხორციელდა ქ. ბოლნისში სახანძრო-სამაშველო შენობის სველი წერტილების და ღობის აღდგენითი სამუშაოები;
- განხორციელდა თბილისში, უცნობ გმირთა ქ. N182 სიმულაციის ოთახის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში (უცნობ გმირთა ქ. N182) განხორციელდა საცოცი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს დაბა ქედის სახანძრო-სამაშველო შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სამსახურის ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობას, სადაც განთავსდა სამსახურის ოპერატიული მართვის ცენტრი;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს კასპი-იგოეთის საავტომობილო გზაზე ახალი სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2023 წელს;
- ქ. სიღნაღში შეკეთდა სახანძრო-სამაშველო შენობის სახურავი;
- ქ. ოზურგეთში, საზღვაო სატრანსპორტო აღჭურვილობის განსათავსებლად მოეწყო ღია ფარდული;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს დაბა ხულოში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2023 წელს;
- განხორციელდა ამბროლაურში, ონში, ტყიბულში, გურჯაანში, წალკას, ადიგენში, აფენში ფოთში და ქ. თბილისში (უცნობ გმირთა ქ. N182) მდებარე სახანძრო-სამაშველო შენობების გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით ჩატარდა სამსახურის ბალანსზე რიცხულ ტერიტორიაზე საინჟინრო–გეოლოგიური და კვლევით–საძიებო ბურღვითი სამუშაოები;

6. **ღონისძიების დასახელება:** სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება

- საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 1121 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 1091 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს ისეთი მომსახურების გაწევას როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაციების გაწევა და სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება. ამასთან, ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული შემოსავლები მეტწილად ხმარდება სამსხურის განვითარებას;

- სააგენტოში მიმდინარეობს სერვისების განვითარების მოკლევადიან და გრძელვადიან ხედვებზე მუშაობა. დაგეგმილია როგორც სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, ისე სერვისების განაცხადების ელექტრონული წარმოების უზრუნველყოფა. სერვისების სისტემატიური განახლების

აუცილებლობიდან გამომდინარე, აღნიშნული ხედვების ფარგლებში მომზადდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის N138 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის პროექტი, რომელიც წარდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროში მთავრობაში გადასაგზავნად

7. **ღონისძიების დასახელება:** სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა.

- ნორმატიული დოკუმენტების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ფარგლებში, მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შესამუშავებლად, რისთვისაც, „ნატო“-ს ოფისის და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, მომზადდა სახელმწიფო რეზერვების სისტემის განვითარების კონცეფცია.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;
- „სააგენტოს ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი, გამოუყენებელი ან დაკარგული ქონების ჩამოწერის მიზნით“, სააგენტოში შეიქმნა კომისია, რომლის მიზანია სააგენტოს ბალანსზე ასახული ნაშთების დაზუსტება;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საპასუხისმგებელო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები[2]

- ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე და მინიჭებული INSARAG-ის კლასიფიკაცია;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში განვითარებული ტექნოლოგიები;
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- რეაბილიტირებული სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- განახლებული სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, განვითარებული სახელმწიფო სერვისები;
- შექმნილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;

[2] პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს.

მიღწეული საბოლოო შედეგები[3]

- საანგარიშო პერიოდში 59 801 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;
- ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შემოწმება/კონსულტირება, სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალურ სწავლებები და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები;
- INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭების მიზნით, მენტორი ქვეყნის - გერმანიის მიერ განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სწავლებები;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შემუშავებული ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვისათვის თანამედროვე სისტემების სამსახურის ყველა დანაყოფისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა;
- ნაწილობრივ განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- ნაწილობრივ განახლდა სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაეწიათ ხარისხიანი მომსახურება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;
- განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი[4]

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი[5]

1.1 საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ სხვადასხვა ინციდენტებზე და საგანგებო სიტუაციების დროს ყოველდღიურ რეჟიმში დახმარებას უწევს საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ასევე ახორციელებს სხვადასხვა სახის (სამთო, წყალქვეშა და სახანძრო-სამაშველო) სამაშველო ოპერაციებს.

1.2 ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ფუნქცია ცენტრალიზებული გახდა. გაიზარდა სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ნუსხა და ასევე სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევებისათვის დაწესებული სანქციების ოდენობა.

1.3 დღეის მდგომარეობით შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR). ჯგუფს მენტორობას უწევს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW). დაწყებულია ჯგუფის წევრთა გადამზადება გერმანელი ინსტრუქტორების მიერ სხვადასხვა მიმართულებებით გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის INSARAG-ის კლასიფიკაციის მიღების მიზნით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი[6]

---

[3] ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის, ხოლო თუ დაგეგმილი საბოლოო შედეგი მიიღწევა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგის პროგრესი საანგარიშო პერიოდისთვის.

[4] დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს (მათ შორის, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები).

[5] დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში საბაზისო მაჩვენებელს.

[6] დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.

1.1 ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება;
1.2 საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, შემოწმებული ობიექტების რაოდენობა - 5 000 ობიექტი.
1.3 ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფის (USAR) გადამზადება გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახურის (THW) მიერ, შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

2.1 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემუშავებულია ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების აღრიცხვისა და სახანძრო-სამაშველო ძალების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემა, თუმცა სერვერულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ ხერხდება მისი საოპერაციო გარემოში დანერგვა.
2.2 არ არსებობს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ელექტრონული რეესტრი, დოკუმენტაცია იწარმოება მატერიალურად, რაც საკმაოდ მოუქნელს ხდის აღნიშნულ სისტემას.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

2.1 eFris-ის პლატფორმაზე შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის, ინტერაქტიული რუკისა და სტატისტიკის წარმოების მოდულები.

2.2 სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა სრულად დანერგილია საოპერაციო გარემოში

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება/შევსება. დღეის მდგომარეობით გასაახლებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 75%.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

5%-ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

4.1 დღეის მდგომარეობით სამსახურის სახანძრო მანქანების დიდი ნაწილი, კერძოდ 252 ერთეული სპეციალური დანიშნულების მანქანა გამოშვებულია 1968-1995 წწ, შესაბამისად საჭიროებს ჩანაცვლებას.
4.2 დღეის მდგომარეობით სამსახურის მცურავი საშუალებების თითქმის ნახევარი, კერძოდ 56 ერთეული დაზიანებულია და საჭიროებს ჩანაცვლებას.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

4.1 ჩანაცვლებულია 1 სახანძრო-სამაშველო მანქანა;

4.2 ჩანაცვლებულია სხვადასხვა ტიპის 2 მცურავი საშუალება

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დღეის მდგომარეობით სახანძრო-სამაშველო ობიექტი 72%-ზე მეტი საჭიროებს რეაბილიტაციას.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 1% რეაბილიტირებულია.

6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელნიც უზრუნველყოფილნი არიან მაღალი ხარისხის მომსახურებით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება. ასევე, შემუშავებული სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვები და სამოქმედო გეგმები.

7. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ამჟამად არ არსებობს სახელმწიფო რეზერვებში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა, თავად რეზერვებში განთავსებული ფასეულობებიც არ არის რეალობასთან შესაბამისობაში. მხოლოდ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებს აქვთ ჩაწყობილი მატერიალური რეზერვების მარაგების მცირედი ნაწილი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შემუშავება;

გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების ჩატარება სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოსამსახურეთა ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება/ამაღლება, ასევე ავტოპარკისა და სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის განახლება;

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული შემოწმებული/კონსუტირებული ობიექტების რაოდენობა;

არსებული პანდემიის გათვალისწინებით, გერმანელი მენტორის მიერ ონლაინ ფორმატში ჩატარდა სწავლებები;

სამსახურის პროგრამისტების მიერ 2019 წელს დაიწყო სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემის (eFris) შემუშავება. აღნიშნულის შემდგომ მიმდინარეობდა მისი ფუნქციონალის დახვეწა/განვითარება. დღეის მდგომარეობით სისტემა მზადაა სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებისათვის.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა, 2019 წელს სამსახურის პროგრამისტების მიერ დაპროექტებული, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის (eFss) პილოტირება და პილოტირების რეჟიმში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარდა ამისა, მიმდინარეობს სისტემის ფუნქციონალის შემდგომი განვითარება პილოტირების რეჟიმში ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, კერძოდ სისტემას დაემატა: (1) ფორმირებულ წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა, (2) განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა; (3) მიწერილობის ფორმებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა; (4) მიწერილობებისა და განკარგულების ფილტრაციის შესაძლებლობა; (5) განკარგულების ფორმაში 2021 წლის გეგმიდან მონაცემების დამატება; (6) შესაბამისობის აქტის ფორმის ცვლილების შესაძლებლობა; (7) ვიზირებების მოდულის

მოდიფიკაცია; (8) განკარგულებებში და მიწერილობებში ვიზირების პროგრესის ჩვენება; (9) დასავიზებელი მიწერილობის ვადა გადაცილების ჩვენება; (10) დასრულებული მიწერილობის ავტორთან შეტყობინების გაგზავნა; (11) დრაფტში არსებული მიწერილობების წაშლა ვიზირებების გავლით; (12) განკარგულებაში არსებული ობიექტების სტატუსების მინიჭება; (13) დასრულებულ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის დამატება; (14) რეპორტების ფორმის შემუშავება, (15) ობიექტების შემოწმების წლიური გეგმის გენერაცია განახლება, (16) ობიექტების გადამოწმება და სტატუსების მინიჭება და (17) საკონტროლო შემოწმების ფორმის ცვლილება. პარალელურად მიმდინარეობს სამუშაო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების შესწორება;

ნაწილობრივ განახლდა სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი (მ.შ. მცურავი და სამთო-სამაშველო საშუალებები), კერძოდ:

- ✓ სამსახურის სახანძრო-სამაშველო ავტოპარკის განახლების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების პროექტის ფარგლებში მეორადი სახანძრო მანქანის შესასყიდად სამსახურმა მიიღო 77 633 აშშ დოლარის ოდენობის ფულადი გრანტი;
- ✓ ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საზღვაო "კატარღა 011"-ისათვის შეძენილ იქნა ჩამოსაკიდი ძრავი;
- ✓ ზამთრის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეძენილ იქნა კვადროციკლის მისაბმელი და ციგა;

გაუმჯობესდა სახანძრო-სამაშველო ინფრასტრუქტურა, კერძოდ:

- ✓ 2018 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდა ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა;
- ✓ სახანძრო-სამაშველო ავტოპარკის განსათავსებლად დაბა ბაკურიანში აშენდა ავტოფარეხი;
- ✓ განხორციელდა ქ. ბოლნისში სახანძრო-სამაშველო შენობის სველი წერტილების და ღობის აღდგენითი სამუშაოები;
- ✓ განხორციელდა თბილისში, უცნობ გმირთა ქ. N182 სიმულაციის ოთახის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ. თბილისში (უცნობ გმირთა ქ. N182) განხორციელდა საცოცი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს დაბა ქედის სახანძრო-სამაშველო შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- ✓ კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სამსახურის ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობას, სადაც განთავსდა სამსახურის ოპერატიული მართვის ცენტრი;
- ✓ საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს კასპი-იგოეთის საავტომობილო გზაზე ახალი სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2023 წელს;
- ✓ ქ. სიღნაღში შეკეთდა სახანძრო-სამაშველო შენობის სახურავი;
- ✓ ქ. ოზურგეთში, საზღვაო სატრანსპორტო აღჭურვილობის განსათავსებლად მოეწყო ღია ფარდული;
- ✓ საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს დაბა ხულოში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2023 წელს;
- ✓ განხორციელდა ამბროლაურში, ონში, ტყიბულში, გურჯაანში, წალკას, ადიგენში, აფენში ფოთში და ქ. თბილისში (უცნობ გმირთა ქ. N182) მდებარე სახანძრო-სამაშველო შენობების გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით ჩატარდა სამსახურის ბალანსზე რიცხულ ტერიტორიაზე საინჟინრო–გეოლოგიური და კვლევით–საძიებო ბურღვითი სამუშაოები;

ნაწილობრივ შეივსო მეხანძრე-მაშველთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ:

- ✓ სახანძრო ღონისძიებებზე რეაგირების გაუმჯობესებისა და მეხანძრე-მაშველთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შეძენილ იქნა მეხანძრის საბრძოლო ფორმა;
- ✓ საანგარიშო პერიოდში, ასევე, შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველის ყოველდღიური და ზამთრის ფორმები, ოპერატორი ქალის ფორები, სახანძრო-საზედამხედველო ფუნქციის განმახორციელებელი დეპარტამენტის მოსამსახურეთა ფორმები და მეხანძრე-მაშველის ფორმის ფეხსაცმელი (სააგენტოს საკუთარი სახსრებით);
- ✓ ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საზღვაო მაშველების უნიფორმისა და სპეციალიზირებული ფეხსაცმლის შესყიდვა. ასევე, წყალზე სამაშველო აღჭურვილობის იმ ნაწილის შეძენა, რომელიც აუცილებელი იყო საზღვაო სეზონის გასახსნელად;
- ✓ საანგარიშო პერიოდში, შეძენილ იქნა 48 600 ლიტრი სახანძრო ქაფი;
- ✓ სამთო-სამაშველო ფორმა და აღჭურვილობა;
- ✓ საანგარიშო პერიოდში მეხანძრე-მაშველთათვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის აღჭურვილობა, კერძოდ: მაღალი წნევის მყვინთავის ბალონები, კომპრესორის სათადარიგო ნაწილები, ქაფშემრევი, ტვირთამწე მოწყობილობა (ელექტრო ტალი), სამედიცინო საკაცე, სამაშველო თოკები და საფრენი აპარატის (დრონი) ელემენტები;

- ✓ ახლადაშენებული ოპერატიული მართვის ცენტრისთვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა;
- ✓ საზედამხედველო ფუნქციის განმახორციელებელი დანაყოფებისათვის შეძენილ იქნა სამხრე კამერები;

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 1121 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 1091 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს ისეთი მომსახურების გაწევას როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაციების გაწევა და სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება. ამასთან, ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული შემოსავლები მეტწილად ხმარდება სამსხურის განვითარებას;

მუდმივად მიმდინარეობდა ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/მონიტორინგი;

მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის პროექტის შედგენაზე.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე[7]

საანგარიშო პერიოდში ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფო მიერ განხორციელებული შეზღუდვების შედეგად შეფერხდა სამსახურის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მიმდინარეობა, კერძოდ:

- 2020 წლის განმავლობაში შემოწმდა და შესაბამისი კონსულტაცია გაეწია ჯამში 4 602 ობიექტს, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 92%-ია;

[7] ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში